

საქმე #010332222900143798



**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით

საქმე #სსდ-01-22

14 აპრილი, 2022 წელი  
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა  
შემადგენლობა:

თავმჯდომარე: ზურაბ ძლიერიშვილი  
მოსამართლეები: მირანდა ერემაძე  
ალექსანდრე წულაძე

სხდომის მდივანი - მ----- დ-----

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ნ----- გ-----ე

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია  
წარმომადგენელი - თ----- ხ-----ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის  
კომისიის 2022 წლის 23 თებერვლის #097/18 გადაწყვეტილება

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:**

2018 წლის 23 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ნ----- შ-----მა და მოითხოვა ადვოკატ ნ----- გ-----ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ნ----- გ-----ე არის მისი ყოფილი მეუღლის - ი----- შ-----ის ადვოკატი განქორწინებისა და ქონების გაყოფის საქმეზე. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სასამართლოს 2016 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით მეუღლესთან განქორწინდა, ხოლო ქონებრივი დავა დასრულდა მორიგებით.

ნ----- შ-----სა და ადვოკატ ნ----- გ-----ეს შორის ურთიერთობა დაიძაბა 2018 წლის მაისში, როდესაც ადვოკატმა შესთავაზა მორიგების ახალ პირობებზე დათანხმება, რაც ნ----- შ-----ისათვის არ იყო მისაღები.

საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატ ნ----- გ-----ის ზარები მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა. მიუხედავად იმისა, რომ სთხოვდა შეეწყვიტა მასთან პირადად კომუნიკაცია და დაკავშირებოდა მის ადვოკატს - თ--- ი---ეს, ნ----- გ-----ე არ ითვალისწინებდა მის სურვილს და უკავშირდებოდა ხშირად, ღამის 2-3 საათზეც კი. ნ----- გ-----ე ცდილობდა ნ----- შ-----ს დამოუკიდებლად, ადვოკატის გარეშე მიეღო გადაწყვეტილებები, თავს არიდებდა თ--- ი---ესთან დაკავშირებას, მიზეზად კი ამბობდა, რომ ადვოკატი არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს, შეტყობინებებს, ელექტრონულ საფოსტო შეტყობინებებს, რაც იყო არასწორი ინფორმაცია.

საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატის მასთან კომუნიკაცია იყო შეურაცხმყოფელი, ფსიქოლოგიური ძალადობის შემცველი. წერდა ისეთი შინაარსის სმს შეტყობინებებს, რომ იძულებულს ხდიდა პასუხი გაეცა თავდაცვისა და თავის მართლების მიზნით. ადვოკატი ცდებოდა საქმის ფარგლებს და აყენებდა პირად შეურაცხყოფას.

მომჩივანის განმარტებით, ადვოკატი მის ადვოკატთან და მასთან შეუთანხმებლად ავიდა მის საცხოვრებელ ბინაში, მიიტანა ახალი მორიგების აქტი და ფსიქოლოგიური ზეწოლით აიძულებდა დათანხმებოდა მისთვის მიუღებელ მორიგების პირობებს.

ეთიკის კომისიის 2019 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ნ----- გ-----ის ქმედებაში დადგინდა დისციპლინური გადაცდომა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილისა და მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა - გაფრთხილება. ადვოკატმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. სადისციპლინო პალატამ 2019 წლის 27 ივნისის Nსსდ-18-19 გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა ადვოკატ ნ----- გ-----ის საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა ეთიკის კომისიას.

საჩივრის ხელახალი განხილვის შედეგად, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 23 თებერვლის #097/18 გადაწყვეტილებით, დადგინდა ნ----- გ-----ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და მის მიმართ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვრა - გაფრთხილება.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე უდავოდ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- ადვოკატი ნ----- გ-----ე ნ----- შ-----ის ყოფილი მეუღლის - ი----- შ-----ის ინტერესებს წარმოადგენდა განქორწინებისა და ქონების გაყოფის სამოქალაქო საქმეზე.
- ადვოკატ ნ----- გ-----ესა და ნ----- შ-----ს შორის არსებობდა წერილობითი, სატელეფონო და პირადი კომუნიკაცია.
- ნ----- შ-----ის ინტერესებს სამოქალაქო დავაში წარმოადგენდა ადვოკატი თ--- ი-----ე.
- ნ----- შ-----თან კომუნიკაციისას ადვოკატმა ნ----- გ-----ემ “Facebook Messenger”-ით კომუნიკაციისას გამოიყენა ფრაზები: „უცოდინარობა და უტვინობა“, „სულელური ქცევით უფრო მეტს დაკარგავ ვიდრე მოიგებ“, „იმაზე სულელი ყოფილხარ ვიდრე მეგონე“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს F21001580 ოქმი ფაქტების კონსტანტაციის შესახებ).
- ეთიკის კომისიაში 2018 წლის 1 აგვისტოს წარდგენილ ახსნა-განმარტებაში ადვოკატი იყენებს ფრაზეოლოგიას: „პირველ რიგში, ასეთი სულელური და საზიზღარი ცილისწამების შემოტანის უფლება ადვოკატის წინააღმდეგ მტკიცებულების გარეშე, არავის უნდა ჰქონდეს! პირადად ჩემთვის ეს საზიზღარი ბრალდება არის შეურაცხმყოფელი და აღმაშფოთებელი“; „ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი“. 2022 წლის 16 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა მომჩივანი მოიხსენია ტერმინით - „ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ადამიანი“ და განმარტა, რომ „ეს წარმოადგენდა ფაქტის კონსტანტაციას - არაკულტურულად ასეთ ადამიანს უწოდებენ „გიჟს““.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე დადგინდად მიიჩნია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოება:

- ადვოკატი ნ----- გ-----ე საჩივრის ავტორს - ნ----- შ-----ს უკავშირდებოდა მისი ადვოკატის - თ--- ი-----ის გვერდის ავლით;

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ----- გ-----ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილი: ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილი: ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი თანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განსაზღვრა - გაფრთხილება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 23 თებერვლის #097/18 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა - ნ----- გ-----ემ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და მის ნაცვლად ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

საჩივრის ავტორმა წარმოადგინა მხარეებს შორის მიმოწერის ამსახველი მასალა ნაბეჭდი სახით, ვიდეოჩანაწერთან ერთად და ეჭვქვეშ აყენებს მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტების კონსტატაციის შესახებ ოქმის ნამდვილობასა და სანდოობას.

ადვოკატი, ასევე მიუთითებს, რომ დისციპლინური საქმის განმხილველმა კოლეგიამ არ იმსჯელა მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე.

ადვოკატი მიუთითებს, რომ მხარესთან და მის ადვოკატთან კომუნიკაცია ჰქონდა ერთდროულად და ადვოკატის ინფორმირების გარეშე მის კლიენტთან კომუნიკაცია არ ჰქონია. იგი ასევე უარყოფს ნ----- შ-----ისათვის შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი შეტყობინებების გაგზავნის ფაქტს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

**ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ნ----- გ-----ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 23 თებერვლის N 097/18 გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობისას ეთიკის ნორმებისა და კომუნიკაციის წესის დარღვევა.

ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება. ამავე კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით - ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას, ხოლო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით - ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი თანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ადვოკატ ნ----- გ-----ესა და ნ----- შ-----ს შორის არსებობდა წერილობითი, სატელეფონო და პირადი კომუნიკაცია. ასევე დადგენილია, რომ ადვოკატი ნ----- გ-----ე ნ----- შ-----ს უკავშირდებოდა მისი ადვოკატის - თ--- ი----ის გვერდის ავლით; წარმოდგენილი ოქმით

(F21001580) ფაქტების კონსტატაციის შესახებ, ასევე დადგინდა, რომ ნ----- შ-----  
---თან კომუნიკაციას ადვოკატმა ნ----- გ-----ემ “Facebook Messenger”-ით  
კომუნიკაციას გამოიყენა ფრაზები: „უცოდინარობა და უტვინობა“, „სულელური ქცევით  
უფრო მეტს დაკარგავ ვიდრე მოიგებ“, „იმაზე სულელი ყოფილხარ ვიდრე მეგონე“. 2022  
წლის 16 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა მომჩივანი მოიხსენია  
ტერმინით - „ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ადამიანი“ და განმარტა, რომ „ეს  
წარმოადგენდა ფაქტის კონსტატაციას - არაკულტურულად ასეთ ადამიანს უწოდებენ  
„გიჟს““.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა  
დადასტურებულად მიიჩნევს ადვოკატ ნ----- გ-----ის მიერ ადვოკატთა პროფესიული  
ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილისა და მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილის  
დარღვევის ფაქტს, არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოსაზრებას და გადაწყვეტილების  
გაუქმების მის მიერ მითითებულ საფუძვლებს.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ კლიენტისადმი ერთგულების, მისი  
ინტერესებისა და უფლებების მაღალი სტანდარტით დაცვასთან ერთად, ადვოკატს გააჩნია  
პროფესიული ეთიკის ნორმებისა და მხარეებთან კომუნიკაციის წესის დაცვის  
ვალდებულება. იურიდიული მომსახურების გაწევისას ადვოკატის ქმედებები  
შემოფარგლულია პროფესიული სტანდარტებით. მართალია, ადვოკატი უნდა იყოს  
ორიენტირებული კლიენტის ინტერესებზე, უნდა მიაწოდოს მათ პრიორიტეტი, თუმცა  
ამავდროულად, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს მისი როლისა და პასუხისმგებლობის  
გათვალისწინებით კლიენტის, ადვოკატის პროფესიის, საზოგადოებისა და  
მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. (იურიდიული ეთიკა, თბილისი, 2021, გვ.30)

აღსანიშნავია, რომ სადისციპლინო პალატის 2019 წლის 27 ივნისის Nსსდ-18-19  
გადაწყვეტილების ერთ-ერთ მოტივაციას საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების  
თაობაზე წარმოადგენდა ნ----- შ-----ის მიერ წარდგენილი მტკიცებულების -  
მხარეებს შორის არსებული ელექტრონული მიმოწერის ავთენტურობის შესახებ  
ინფორმაციის არარსებობა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია  
გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ მომჩივანი მხარის მიერ წარდგენილ  
ელექტრონულ მიმოწერას და ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ გამოუკვლევიან  
წარდგენილი მტკიცებულებების ნამდვილობა. ელექტრონული მიმოწერა ამობეჭდილი იყო  
თაბახის ფურცლებზე და არ დგინდებოდა მისი ავთენტურობა. (იხ. საქართველოს  
უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2019 წლის 27 ივნისის Nსსდ-18-19  
გადაწყვეტილება).

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 23  
თებერვლის N 097/18 გადაწყვეტილების თანახმად, ადვოკატ ნ----- გ-----ის მიერ  
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის ერთ-ერთ

დამადასტურებელ მტკიცებულებად მითითებულია ნ----- შ-----ის მიერ წარმოდგენილი, მხარეთა შორის ელექტრონული მიმოწერის ამსახველი მასალა, რომელიც დადასტურებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ოქმით (F21001580) ფაქტების კონსტატაციის შესახებ. პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დაძლეულია მტკიცების სტანდარტი, მითითებული ოქმი სრულად შეიცავს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91<sup>17</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სავალდებულო რეკვიზიტებს, აღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ დაუშვებელია მითითებული ოქმის მტკიცებულების სახით გამოყენება. ასევე აღსანიშნავია, რომ ადვოკატ ნ----- გ-----ის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი უტყუარი და სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა ფაქტების კონსტატაციის შესახებ (F21001580) ოქმით დადგენილი ფაქტების უტყუარობას.

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ოქმი - ფაქტების კონსტატაციის შესახებ, ეთიკის კომისიამ გადაუგზავნა საქმის განხილვამდე 4 დღით ადრე, 11 თებერვალს, პარასკევს ღამით, რის გამოც არ ჰქონდა დრო საპასუხოდ გაეკეთებინა რეალური მიმოწერის ფაქტების კონსტატაცია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მას შესაძლებლობა ჰქონდა დამოუკიდებლად, გზავნილის მიღებამდე მოეხდინა სასურველი მიმოწერის ფაქტების კონსტატაცია და წარმოედგინა მტკიცებულების სახით ეთიკის კომისიისთვის, ხოლო მოგვიანებით - სადისციპლინო პალატისთვის, ანდა დაეყენებინა შესაბამისი შუამდგომლობა სხდომის თარიღის ცვლილებასთან დაკავშირებით, თუკი მიაჩნდა, რომ ესაჭიროებოდა დამატებითი ვადა საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარმოსადგენად.

საჩივრის ავტორის განცხადებით, საქმის განმხილველმა კომისიამ დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი და არ იმსჯელა მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, თუმცა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 6.2.1 პუნქტის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, კომისიას ნამსჯელი აქვს ადვოკატ ნ----- გ-----ის მიერ წარდგენილ მტკიცებულებასთან დაკავშირებით და მითითებულია, რომ ადვოკატ ნ----- გ-----ის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ვერ აკმაყოფილებს დასაბუთების იმ ხარისხს, რაც კოლეგიას დაარწმუნებდა, რომ ის მოქმედებდა არა თვითნებურად, არამედ ადვოკატ თ--- ი---ესთან შეთანხმებით. ნ----- გ-----ეს არ წარმოუდგენია სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ადვოკატ ნ----- გ-----ეს, ნ----- შაქარაშვილის ადვოკატის - თ--- ი---ისაგან ჰქონდა თანხმობა, რომ მისი გვერდის ავლით დაკავშირებოდა მის კლიენტს.

გადაწყვეტილებაში ასევე მითითებულია, რომ კომისიამ ადვოკატ ნ----- გ-----ეს

შესთავაზა, ხომ არ იშუამდგომლებდა გამოკითხულიყო მოწმე - ადვოკატი თ--- ი----ე, თუმცა ადვოკატმა უარი განაცხადა. მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საპირწონე მტკიცებულება ადვოკატ ნ----- გ-----ეს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია (პუნქტი 8.8).

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიის წევრი - მ----- ნ----- ადვოკატ ნ----- გ-----ის მიერ ადვოკატთა ასოციაციის წინააღმდეგ დავაში მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატია, რაც პროცესუალური კუთხით აცილების საფუძველს წარმოადგენს და საქმის განხილვაში მისი მონაწილეობა ეჭვქვეშ აყენებს მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობასა და სამართლიანობას. სადისციპლინო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, მხარეებს შეუძლიათ წერილობით განაცხადონ აცილება. განცხადება აცილების შესახებ მოტივირებულ უნდა იქნეს და გაკეთდეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ნ----- გ-----ეს მიაჩნდა, რომ არსებობდა კოლეგიის რომელიმე წევრის აცილების საფუძველი, ადვოკატი უფლებამოსილი იყო დაეყენებინა შესაბამისი შუამდგომლობა, თუმცა სადისციპლინო პალატაში გამართულ სხდომაზე ადვოკატმა დაადასტურა, რომ ასეთი შუამდგომლობით განხილვის კოლეგიისთვის არ მიუმართავს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>59</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. ნ----- გ-----ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები, შესაბამისად, ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია.

სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის - გაფრთხილების შეფარდებასთან დაკავშირებით და თვლის, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევასა გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე და დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის შესაბამისია. ამდენად, არ არსებობს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, შესაბამისად, ადვოკატ ნ----- გ-----ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.



## სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>61</sup> მუხლით, 75<sup>62</sup> მუხლით, 75<sup>63</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75<sup>64</sup> მუხლით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ნ----- გ-----ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 23 თებერვლის #097/18 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

/ზურაბ ძლიერიშვილი/

მოსამართლეები:

/მირანდა ერემაძე/

/ალექსანდრე წულაძე/